ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 34480,0 ათ.ლარით.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ცვლილება.

I. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 28 477 283,27 ლარით.**
II. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 7 316 246,98 ლარით.**

საბიუჯეტო ცვლილების გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **70273,53** ათ.ლარით.

შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2022 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 40369,63 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 79,1 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 51034,6 ათ.ლარი). წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლებთან შედარებით (32956,3 ათ. ლარი), შემოსულია 7413,33 ათ. ლარით მეტი. წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლების პროცენტული მაჩვენებელი იყო 58,51%-ი. (გეგმა -56325,2 ათ.ლარი, ფაქტი - 32956,3 ათ. ლარი).

2023 წლის III კვარტლის შემოსავლები:

- ქონების გასახადის გეგმა 77,47 %-ით (წლიური გეგმა 7650,0 ათ.ლარი შესრულება 5926,5 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 74,56 %-ით (წლიური გეგმა 22737,4 ათ.ლარი შესრულება 16953,1 ათ.ლარი) ;
- შემოსავალი პროცენტებიდან გეგმა შესრულდა 151,06 %-ით (წლიური გეგმა 150,0 ათ.ლარი შესრულება 226,6 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 278,8 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათ.ლარი, შესრულება 836,5 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 40,91 %-ით(წლიური გეგემა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 40,91 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 96,04 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 240,1 ათ.ლარი);

- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 88,64 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი შესრულება 221,6 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 98,03 %-ით (წლიური გეგმა 2012,6 ათ.ლარი,შესრულება 1973,1 ათ.ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 240 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 48,0 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 106,91 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 106,91 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 53,25 %-ით (წლიური გეგმა 850,0 ათ.ლარი,შესრულება 452,6 ათ.ლარი);

2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13340,3 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მირებული გრანტები – 65,9 ათ.ლარი ;

ბ) სტიქია – 3515,3 ათ.ლარი ;

გ) მიზნობრივი ტრანსფერი – 337,5 ათ.ლარი ;

დ) მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება – 991,3 ათ.ლარი;

ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 5634,3 ათ.ლარი;

ვ) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 1291,2 ათ.ლარი;

ზ) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სამგზავრო ავტობუსების თანადაფინანსება – 274,8 ათ.ლარი;

თ) საჯარო ფინანსების გრანტი – 530,0 ათ.ლარი;

ი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 700,0 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს **70273,53** ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა **47283,03 ათ. ლარი** წლიური გეგმის 67,28 % -ია.

წინა წლის ფაქტიურმა ანალოგიური პერიოდის საკასო ხარჯები შეადგენდა 29595,38 ათ. ლარს წლიური გეგმის 48,22 % -ი იყო (წინა წლის გეგმა **61371,7**ათ.ლარი).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 17687,64 ათ. ლარით მეტი თანხა იქნა ათვისებული.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 5102,64 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 7772,0 ათ.ლარი) 65,65 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 27055,96 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 40116,67 ათ.ლარი) 67,44 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2570,04 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 3793,0 ათ.ლარი) 67,75 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 6473,04 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 9365,35 ათ.ლარი) 69,12 %;

- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4423,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6288,0 ათ.ლარი) 70,35%;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 1537,22 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2623,51 ათ.ლარი) 58,59 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 120,53 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 315,0 ათ.ლარი) 38,26 %;

2023 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 204,1 ათ.ლარი. მ.შ - 89,3 ათ.ლარი დაიხარჯა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ (დოლიძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის სახურავი), 2023 წლის 8 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა პირველადი დახმარებისათვის - 16,7 ათ. ლარი , სოციალური მიზნებისთვის - 98,1 ათ.ლარი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახური საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის და სამსახურის დებულებების შესაბამისად.

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება

სამსახურის მიერ შესწავლილი ინფარსტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა დაფინანსების წყაროებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში, 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა და მიმდინარეობს პროექტები სხვადასხვა მიმართულებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის (02.01) განვითარების მიზნით განხორციელდა რიგი პროექტები:

გზების მოვლა-შენახვის (02.01.01) მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო საფარის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, მ.შ ასფალტირებული გზების დაზიანებულ მონაკვეთებში ორმული შეკეთების სამუშაოები და გზებზე მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ღონისძიებები. წლის განმავლობაში დაგეგმილია 450 ათასი ლარის ღირებულების სამუშოების განხორციელება.

გზების მშენებლობა - რეაბილიტაციის (02.01.02) ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- სოფელ ლიხაური-სოფელ მაკვანეთის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 5165 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 1426521,57 ლარი. მთლიანი შესრულება - 1395097 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 624348,5 ლარი;

- ქ. ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის და ბაქრაძის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 1358 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 1199350 ლარი. მთლიანი შესრულება - 1185690 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 573229,15 ლარი;

- სოფ. გაღმა დვაბზუ-დვაბზუ-ნასაკირალის პირველი რაიონში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (სიგრძე 1890 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება- 604515 ლარი. მთლიანი შესრულება - 604395 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 63586,5 ლარი;

- სოფ. დვაბზუს ცენტრიდან შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) (სიგრძე 1086 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 374550 ლარი. მთლიანი შესრულება - 374488 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 48150,8 ლარი;

- ქ. ოზურგეთში ნინოშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის და მოსკოვის ქუჩების რეაბილიტაცია (სიგრძე 730 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება- 1298962,56 ლარი. მთლიანი შესრულება - 1298896 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 895727,6 ლარი;

2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- სოფ. ჯუმათში, მთავარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 5961 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 1915000 ლარი. მთლიანი შესრულება - 921263 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 706634 ლარი; 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 510550,2 ლარი;

მიმდინარე წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- სოფ.ცხემლისხიდი (უჩხუბის უბანი) - სოფ.ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 4028 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 2 599 000 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 408649 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 836955 ლარს; განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 408649 ლარი;

- სოფ.ბახვი-სოფ.ვაკიჯვრის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია - (მთლიანი სიგრძე 2911 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 2 4498 976 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი; შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 768501 ლარს; განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 375 000 ლარი;

- ანასეულის დასახლებიდან ჩხაიძის (იმედაშვილის) ქუჩის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 1373 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 1 249 966 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 970678 ლარს; განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 369409,5 ლარი;

- სოფ.შრომაში ვაკისა და ზედუბნის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 3278 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 3 072 188 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1004769 ლარს;

განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 743421 ლარი;

- სოფ. მაკვანეთში (ბაღების უბანი) შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 2062 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 1 437 108 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 566739 ლარს; განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 374999,6 ლარი;

- დაბა ლაითურის შიდა გზების რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 3280 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 2 378 995 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 924731 ლარს; განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 690789 ლარი;

- სოფ. მთისპირის (დაბლა ვანისქედი) - სოფ. ბასილეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მთლიანი სიგრძე 1178 გრძ.მ.) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 729 489 ლარი, მ.შ. 2023 წელს განსახორციელებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 375 000 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 430179 ლარს, განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 375 000 ლარი;

- დაიწყო ქალაქ ოზურგეთში იაკობ შემოქმედელის ქუჩის ბოლოდან სოფელ მელექედურის ცენტრამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (სიგრძე 1453 გრძ.მ.), სახელშეკრულებო ღირებულებით 1066917 ლარი.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- ქ. ოზურგეთში, ეგნატე ნინოშვილისა და მალაზონიას ქუჩების ნაწილის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 956818,6 ლარი (სიგრძე 852 გრძ.მ.). მთლიანი შესრულება - 938 381 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 635152.1 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის, გაბრიელ ეპისკოპოსის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ლანდშაფტური სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები, ტროტუარების კეთილმოწყობა), სახელშეკრულებო ღირებულებით 545676,5 ლარი, მთლიანი შესრულება - 540 851,7 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 96627.88 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (ტროტუარის მოწყობა და ტროტუარზე გარე განათების მონტაჟი) - სახელშეკრულებო ღირებულებით 662297,90 ლარი, მთლიანი შესრულება - 643670 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 484966.3 ლარი;

2023 წელს დაიწყო და სრულდება ქალაქ ოზურგეთში საფეხმავლო ხიდის მშენებლობა, სახელშეკრულებო ღირებულებით 449 500 ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 376590 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 372341.8 ლარი;

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ქ. ოზურგეთში თაყაიშვილის ქუჩის მე-4 შესახვევის გზის (178 გრძ.მ) რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 118 898 ლარი, დასრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 115843 ლარი;

- ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე (კორტების მიმდებარედ) დახურული 81 გრძ.მ. სიგრძის სანიაღვრე არხის მშენებლობა, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 153532 ლარი.

- დაიწყო სოფელ მელექედურში დაზიანებული გზისა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 308331 ლარი.

- დაიწყო ქ. ოზურგეთში, წმ. გიორგის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობა, სახელშეკრულებო ღირებულებით 18499,29 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში წყლის სისტემების (02.01) განვითარების მიზნით, წყალსადენების შიდა ქსელების მოწყობა - რეაბილიტაციის (02.01.02) ფარგლებში მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- სოფ. ხრიალეთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები. (ქსელის მთლიანი სიგრძე - 10720 მ) მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება - 626523,51 ლარი. მთლიანი შესრულება - 626523 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 229121,35 ლარი; წყალმომარაგების ქსელში ჩაერთო 122 ოჯახი, საბავშვო ბაღი და საჯარო სკოლა.

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს მიმდინარეობს:

- ნატანების, მე-12 ბრიგადაში წყალომარაგების ქსელის მშენებლობა (ქსელის მთლიანი სიგრძე - 7839 მ). სახელშეკრულებო ღირებულება - 427000 ლარი. მთლიანი შესრულება - 280117 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 123012,3 ლარი; სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგების ქსელში ჩაერთვება 50 ოჯახი.

- დაიწყო ნასაკირალის წყალმომარაგების სისტემის დასრულების სამუშაოების განხორციელება. წყალმომარაგების გაუმჯობესების და ქსელის გაფართოების მიზნით შესრულდება დაბა ნასაკირალში ჰორიზონტალური წყალმიმღების (დრენაჟი) მოწყობის სამუშაოები და დვაბზუს ნასაკირალში შიდა ქსელის დასრულების და ერთ უბანზე (19 კომლი) შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები. სულ შესასრულებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 765000 ლარს. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება დაბა ნასაკირალის მოსახლეობის (3400 მცხოვრები) წყალმომარაგების მდგომარეობა, გარდა ამისა წყალი დამატებით მიეწოდება დვაბზუს ნასაკირალის 110 ოჯახს და დაბა ნასაკირალის 19 ოჯახს. მოსაწყობი წყალმომარაგების ქსელის სიგრძე შეადგენს 3381 გრძ. მეტრს.

- დაიწყო სოფელ ნაღობილევში (პირველი უბანი) სასმელი წყლის სისტემის მოწყობის (ქსელის მთლიანი სიგრძე - 2239 მ) სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 584650 ლარი. სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალმომარაგების ქსელში ჩაერთვება 90 ოჯახი.

საზოგადოებრივი სივრცეების განვითარების (02.03.) მიზნით მიმდინარეობს სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის (02.03.01) სამუშაოები:

სახელმწიფო პროგრამა-განახლებული რეგიონების ფარგლებში 2021 წელს დაიწყო და სრულდება ქ.ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკის (ს/კ 26.26.01.671) რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 2 687 700 ლარი; შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 2375793 ლარი. 2023 წელს

განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 1291262.5 ლარი; პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყობა 17787,7 კვმ სივრცე.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და დასრულდა:

- ქალაქ ოზურგეთში, ნინოშვილის ქუჩაზე კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 901 367 ლარი, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია, მთლიანი შესრულება - 901315 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 379027 ლარი; პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო 4600 კვმ სივრცე.

- ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური მოედნის და მიმდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე პარკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 2151042,7 ლარი; მთლიანი შესრულება - 2148830 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 708033.4 ლარი; პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო 8000 კვმ სივრცე.

2022 წელს დაიწყო და მიმდინარეობს:

- ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე საჩოგბურთო ცენტრის მშენებლობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 2502548,4 ლარი; მთლიანი შესრულება - 1765560 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 708224.8 ლარი;

- ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაცია, სახელშეკრულებო ღირებულებით - 1070070 ლარი; მთლიანი შესრულება - 1020330 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 411288.6 ლარი;

- დასრულდა ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) სპორტული მოედანის რეაბილიტაციის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით - 63975 ლარი; მთლიანი შესრულება - 63975 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 62375.6 ლარი;

- რგპფ-ით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება, სახელშეკრულებო ღირებულებით 881881 ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 4 ერთეული სპორტული მოედანი და გასართობი სივრცე. განხორციელებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 470370 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 446851,7 ლარი;

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა:

- ქალაქ ოზურგეთში, ბესიკის ქუჩაზე სკვერის კეილმოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 49994 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 48642 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთში, თამარ მეფის მოედანზე სახელმწიფო სიმბოლიკის - საქართველოს ეროვნული დროშის განთავსების სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 50188,63 ლარი, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 48933,91 ლარი;

- დასრულდა ოთხი ერთეული სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები დაბებში: ლაითურში, ნარუჯაში, ნასაკირალში და სოფელ ძიმითში.

დაიწყო და მიმდინარეობს:

- სოფელ ოზურგეთში სამშობლოსათვის დაღუპული თანამემამულეების არსებული მემორიალის რეაბილიტაციისა და დაბა ნარუჯაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალის მოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით - 63495 ლარი.

საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მშენებლობა - რეაბილიტაციის (02.03.02) ფარგლებში იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი გრანტით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს ნაგომარის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება, სახელშეკრულებო ღირებულებით - 683305,77 ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 368819 ლარი.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით დასრულდა:

- სოფელ შრომაში (ვაკე) საბავშვო ბაღის მშენებლობა, სახელშეკრულებო ღირებულებით - 522306,19 ლარი, მთლიანი შესრულება - 505802 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 239784,09 ლარი;

- საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით 2022 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდა სოფელ მშვიდობაურის საჯარო სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოების განხორციელება, სახელშეკრულებო ღირებულებით 97888 ლარი.

- საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით მიმდინარეობს სოფ. ნაღობილევის სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 125364,83 ლარი;

- ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა სოფ. ბოხვაურში საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 5987,48 ლარი, სოფელ მაკვანეთის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 17109,88 ლარი, სოფელ მთისპირის ბაღში სანკვანძის მიშენება, ღირებულებით 10342,16 ლარი;

- ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით 34708,02 ლარი და ვიქტორ დოლიძის ქუჩა N8-ში არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია. ღირებულებით 14325,24 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით, პროექტირება და ექსპერტიზის (02.04) ფარგლებში ხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება (02.04.01):

- შენობა ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის ასევე, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება თანმდევი ექსპერტირებით 2023 წლის განმავლობაში, სახელშეკრულებო ღირებულებით 180000 ლარი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ასევე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება თანმდევი ექსპერტირებით 2023 წლის განმავლობაში, სახელშეკრულებო ღირებულებით 105000 ლარი;

- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების (სისტემების) მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება თანმდევი ექსპერტირებით 2023 წლის განმავლობაში, სახელშეკრულებო ღირებულებით 595000 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ერთეულებში მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, ოზურგეთის მერია გეგმავს წყალმომარაგების სისტემების მოწყობის განხორციელებას, რისთვისაც მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები შემდეგ პროექტებზე:

1.სოფელ ოზურგეთის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 3 580 690,46 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ ოზურგეთის 625 ოჯახი (1200 მცხოვრები) მცხოვრები;

2.სოფელ გურიანთის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 264 355,42 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ გურიანთის 50 ოჯახი (145 მცხოვრები);

3.სოფელ ციხისფერდის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 200 915,91 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ ციხისფერდის 35 ოჯახი (110 მცხოვრები);

დაგეგმილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება შემდეგ პროექტებზე:

1.ნაგომარის ადმინისტრაციული ერთეულის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 6 500 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს ნაგომარის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხი სოფლის - ჟანაურას, ნაგომარის, მაღალი ეწერის, შუაისნარის 410 ოჯახი (1137 მცხოვრები);

2.კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეულის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 5 200 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს კონჭკათის ადმინისტრაციული ერთეულის ორი სოფლის - კონჭკათის და განთიადის 520 ოჯახი (1180 მცხოვრები);

3.სოფელ ხვარბეთის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 3 200 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ ხვარბეთის 310 ოჯახი (680 მცხოვრები);

4.სოფელ მერიის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 6 200 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ მერიის 670 ოჯახი (1495 მცხოვრები);

5.სოფელ თხინვალის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 3 600 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ თხინვალის 245 ოჯახი (738 მცხოვრები);

6.სოფელ ნაღობილევის მეოთხე უბანში სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 600 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ თხინვალის მეოთხე უბნის 90 ოჯახი (225 მცხოვრები);

7.სოფელ მელექედურის სასმელის წყლის სისტემის მოწყობა. შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 3 800 000 ლარს. პროექტის განხორციელებით ისარგებლებს სოფელ მელექედურის 400 ოჯახი (1170 მცხოვრები).

სამოქალაქო ბიუჯეტით (02.05) ხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. პროექტი - „იპოვე შენი სახლი“;
2. ქ. ოზურგეთში, ლომთათიძის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, სახელშეკრულებო ღირებულებით 178176,63 ლარი.

ბინათმშენებლობის (02.06) ფარგლებში, (02.06.02) მრავალბინიანი სახლების ფასადების კეთილმოწყობის მიზნით:

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდა:

- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ჭავჭავაძის ქ. N19 და ვ. დოლიძის ქ. N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია), სახელშეკრულებო ღირებულებით 380145 ლარი; განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 363921 ლარი; 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 55691.5 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძის და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის სამუშაოები (ვ. დოლიძის N7, გაბრიელ ეპისკოპოსის N25, გაბრიელ ეპისკოპოსის N27, ვ. დოლიძის N8 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ყოფ. საფერშლოს, საპირფარეშოსა და ჯიხურების შენობების ფასადების რეაბილიტაცია), სახელშეკრულებო ღირებულებით 392314 ლარი. განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 381474 ლარი; 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 89882.96 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (რუსთაველის ქ. N2, ჭავჭავაძის ქ. N4, ჭავჭავაძის ქ. N6, რუსთაველის ქ. N6) - სახელშეკრულებო ღირებულებით 881218,78 ლარი; განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 881056,38 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 521914.8 ლარი;

- ქალაქ ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (ჭავჭავაძის ქ. N8, ჭავჭავაძის ქ. N10, 26 მაისის ქ. N30, ჭავჭავაძის ქ. N15, ჭავჭავაძის ქ. N12,

ჯიხურები) - სახელშეკრულებო ღირებულებით 901991 ლარი; განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 895645 ლარი. 2023 წელს განხორციელებული სამუშაოების საკასო შესრულებამ შეადგინა 490452.4 ლარი.

2022 წელს დაიწყო და დასრულდა:

- რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის მხარდაჭერით დასრულდა ქ. ოზურგეთში, ფარნავაზ მეფის ქუჩის N1-ში თორმეტსართულიანი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 1096247 ლარი. განხორციელებული სამუშაოების შესრულებამ შეადგინა 1093092 ლარი;

- ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებით დასრულდა ვიქტორ დოლიძის ქუჩა N13-ში სტიქიისაგან დაზიანებული მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ღირებულებით 89893,43 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (02.09) განხორციელების უზრუნველსაყოფად მოსახლეობასთან გამართულ საკონსულტაციო კრებებზე შეირჩა მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში განსახორციელებელი პროექტები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს გამოეყო **1086000** ლარი. რასაც დაემატა მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოყოფილი თანადაფინასება. აღნიშნული პროგრამით, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით ხორციელდება დასახლებულ ერთეულებში გზების სავალი ნაწილის კრიტიკულ მონაკვეთებზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა. გზების აღდგენისათვის ხორციელდება საჭირო მზა ბეტონის და არმატურის ბადის შესყიდვა და მიწოდება გზების სარემონტო ლოკაციებზე.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის (02.10) უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის N131 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით (5215000 ლარი) 2022 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს განხორციელდა:

- 1 900 კუბური მეტრი მზა ბეტონის (მ-300) შესყიდვა, სტიქიისაგან დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ, სახელშეკრულებო ღირებულებით 380000 ლარი; შეძენილია 361840 ლარის ღირებულების მზა ბეტონი;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. თხინვალში სკოლასთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 497465 ლარს;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. თხინვალში ლადო ლაბაძის სახლთან და სკოლასთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 107990,46 ლარს;

- სოფ. თხინვალში სეფერთელაძეების უბანში სტიქიის შედეგად მიწის ვაკისის აღდგენა, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 132642 ლარს;

- სოფ. კონჭკათში ანგული ჩანჩიბაძის სახლის მიმდებარედ სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 100985,26 ლარს;

- სოფ. კონჭკათში, ცენტრში სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 367127,64 ლარს;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში (ს. ორმეთი), მდ. ოჩორჩხინაზე არსებული მილხიდის სტიქიის შედეგად დაზიანებული სარეგულაციო კედლის აღდგენის სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 105921,1 ლარი;

- სოფ. თხინვალში ვლ. ხურციძის სახლთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 108598 ლარს;

- ურეკი-შრომის დამაკავშირებელ გზაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენა, შესრულებული სამუშაოები ღირებულება შეადგენს 130635,59 ლარს;

2023 წელს განხორციელებული სალიკვიდაციო სამუშაოების საკასო შესრულებამ N131 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან სულ შეადგინა 2338780,5 ლარი;

მიმდინარე წელს სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების შესაძენად, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით (900000 ლარი) 187 დაზარალებული ოჯახისთვის შეძენილი იქნა და გადაეცა სახლის სახურავების აღსადგენად საჭირო მასალები, საერთო ღირებულებით 892912,40 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 11 აპრილის N685 განკარგულებით გამოყოფილი 1070000 ლარით, დაფინანსდა 2022 წელს დაწყებული სტიქიის სალიკვიდაციო გარდამავალი პროექტები, მათ შორის უკვე დასრულებულია:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში (სოფ. წვერმაღალა), საავტომობილო გზაზე, 3 სხვადასხვა ლოკაციაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისების აღდგენითი სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 667917,61 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 აპრილის N700 განკარგულებით გამოიყო 3100000 ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- დაბა ნასაკირალში, N02 ქუჩაზე მდებარე N12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 140000 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულებით 310736 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა, სახელშეკრულებო ღირებულებით 201025 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა.(ხის მასალა), სახელშეკრულებო ღირებულებით 200750 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა.(თუნუქი- 20 000 კვ.მ), სახელშეკრულებო ღირებულებით 324980 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა. სახელშეკრულებო ღირებულებით 359500 ლარი;

- კიტა მეგრელაძის ქ. N8-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 67474 ლარი;
- ქ. ოზურგეთში, გრიბოედოვის ქ. N25-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 62012 ლარი;
- დაბა ნარუჯაში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 59464 ლარი.

მიმდინარეობს:
- ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბჟუჟზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, საპროექტო ღირებულებით ღირებულებით 382413 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა, ღირებულებით 597285 ლარი;
- სოფელ მაკვანეთში მდ. აგიდაყვაზე არსებული ხიდის სტიქიის შედეგად დაზიანებული შუა ბურჯის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 52241 ლარი;
- სოფელ მთისპირში (ოქროსქედის უბანი) შ. ჩავლეშვილის სახლის წინ სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, ღირებულებით - 139750 ლარი;
- სოფელ ზემო ნატანებში (ჯაფარეულა) ნ. კუჭაშვილის სახლის მოპირდაპირედ სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები, ღირებულებით - 78137 ლარი;
- ქ. ოზურგეთში, ხვედელიძის ქ. N87-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 78978 ლარი;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადახურვის მასალების შესყიდვა, ღირებულებით 84100 ლარი.

2023 წლის განმავლობაში, სტიქიური მოვლენების გათვალისწინებით, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1764 განკარგულებით სულ გამოყოფილია 6890000 ლარი.
მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია:
- სოფელ გურიანთაში (აჭარის დასახლება) მდ. სკურდუმზე დაზიანებული ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 151425 ლარი;
- სოფელ გურიანთაში მდ. სკურდუმზე დაზიანებული ხიდის ნაცვლად ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობის სამუშაოები, ღირებულებით 953110 ლარი;
- სოფელ მშვიდობაურში შიდა სასოფლო გზისა და მდ. ყურეფაზე არსებული ხიდბოგირის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 244338 ლარი;
- ქ. ოზურგეთში, კოსტავას ქ. N129-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები, საპროექტო ღირებულებით 150598 ლარი.

2023 წლის სექტემბრის თვეში რამოდენიმეჯერ მოსული უხვი ნალექების ზემოქმედებით გააქტიურებული მეწყერული პროცესებისა და წყალდიდობების შედეგად, მუნიციპალიტეტში დაზიანდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტები, კერძო

მოსახლეობის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამოები. სამსახურის თანამშრომლების მიერ, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე იქნა შესწავლილი დაზიანებული ობიექტები. მოწვეული გეოლოგების დასკვნების საფუძველზე გამოვლინდა დაზარალებული ოჯახები. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად განისაზღვრა დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ ჩასატარელებელი სამუშაოები. ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება, რომლის საფუძველზე განხორციელდება აღდგენითი სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების სპრციალისტები მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებულ, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან, რომელიც დახმარებას უწევს მეწყერის შედეგად დაზიანებულ მოსახლეობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 მაისის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ“ N8, 36.362213044 ბრძანების შესაბამისად სამსახურის თანამშრომლები რეგულარულად ახორციელებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგს.

არქიტექტურის განყოფილება

2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში განყოფილებამ განახორციელა საქმიანობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, შემოსული განცხადებების საფუძველზე. სულ შემოსულია 1604 განცხადება. მომზადდა 281 ბრძანების პროექტი მშენებლობის ნებართვის, მშენებლობის ვადის გაგრძელების, დემონტაჟის და პროექტის კორექტირების თაობაზე. მომზადდა და გაიგზავნა 352 შეთანხმების წერილი, 38 უარყოფის წერილი. მომზადდა და გაიგზავნა 718 კორესპოდენცია დაინტერესებულ პირებთან და სხვადასხვა ინსტანციებში ობიექტების პროექტირებასთან და სანებართვო დოკუმენტაციების გაცემასთან დაკავშირებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ 8.36_36223353 ბრძანების შესაბამისად, როგორც საბჭოს წევრები, განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ საბჭოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ საქმიანობაში.

სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის განყოფილება

2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში განყოფილებამ განახორციელა საქმიანობა უფლებამოსილების ფარგლებში, შემოსული განცხადებების საფუძველზე. შემოსულია 281 განცხადება. მიწის ნაკვეთების გაერთიანებაზე და გაყოფაზე მომზადდა და გაიგზავნა 229 თანხმობის წერილი. 11 განმცხადებელს ანალოგიურ მოთხოვნაზე ეთქვა უარი. მომზადდა დოკუმენტაციები მიწის ნაკვეთის ფუნქციური შეცვლის თაობაზე. მიმდინარე

წლის განმავლობაში განყოფილება მუშაობს დაბა გომისმთის გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა დაბა გომისმთის გენგეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №36_36223353 ბრძანების შესაბამისად, როგორც საბჭოს წევრი, განყოფილების თანამშომელი მონაწილეობას ღებულობს საბჭოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ საქმიანობაში.

ტრანსპორტის განყოფილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის, ტრანსპორტის განყოფილებამ, 2023 წლის ცხრა თვის განმავლობაში საქმიანობა განახორციელა არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების და განყოფილების სამუშაო გეგმის შესაბამისად.
განყოფილების მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთობლივად, შესწავლილი იქნა სოფლებში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობები. აღნიშნული მოკვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროებები ტრანსპორტით მომსახურების სფეროში.
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების ორგანიზების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ხორციელდება პრიორიტეტული ლოკაციების განსაზღვრა საგზაო ნიშნების მოსაწყობად.

ხორციელდება სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნების და ხელოვნური ბარიერების განთავსების ლოკაციების დადგენა, შემდგომში საჭირო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, რომლის საფუძველზე განხორციელდება საგზაო ნიშნების განთავსება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო საფარის მოვლა-შენახვის სამუშოების განხორციელების ფარგლებში, გათვალისწინებულია გზებზე მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, კერძოდ - საგზაო ნიშნების, ჰორიზონტალური მონიშვნის ხაზების, მონიშვნის ხაზებთან და გვერდულებზე დასაყენებელი ბოძკინტების, საგზაო დაფების, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბორცვების, შუქამრეკლი პანელების, მოციმციმე გამაფრთხილებელი შუქნიშნის სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება მიმდინარე წლის განმავლობაში, საჭირო ლოკაციებზე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის N2-02/15888, 10/10/2022წ. წერილის თანახმად, ოზურგეთი-ნატანები-ურეკის, ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესის და ნატანები-ჩოლოქის ხიდის საავტომობილო გზების მონაკვეთებზე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების ხარისხის ამღლების მიზნით, „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ და სექციური სიჩქარის ვიდეო კონტროლი“- ს საგზაო ნიშნების განთავსების უზრუნველაყოფად, განხორციელდა საგზაო ნიშნების მოწყობის ადგილების შერჩევა განყოფილების თანამშრომლების ჩართულობით,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციის და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ორგანიზების მიზნით, გადამზიდავ კომპანიასთან და შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიასთან“ ერთობლივად შემუშავებულია M2 და M3 კატეგორიის ავტოტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები და მოძრაობის გრაფიკები, სამგზავრო ავტოტრანსპორტის შესახებ საინფორმაციო მონაცემები.
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძვნებული და მართვაში არსებული ტრანსპორტის სფეროს მიკუთვნებული საწარმოს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით ხორციელდება რეგულარული კომუნიკაცია შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიასთან“.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე, სს „ოზურგეთის სამგზავრო ავტოსადგურთან“ და შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიასთან“ ერთობლივად დამუშავდა შემდეგი მონაცემები:
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა მარშრუტების ჩამონათვალი, მასზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემების ჩვენებით;
- თითოეულ მარშრუტზე რეისების რაოდენობა და მოძრაობის საათობრივი გრაფიკი;
- მგზავრობის ღირებულება მარშრუტების მიხედვით 2023 წლის მდგომარეობით;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჯამური სამგზავრო ადგილის რაოდენობა ადგილობრივ მარშრუტებზე;

მომზადდა მასალები მდგრადი ტრანზიციის სოციალურ-ეკონომიკური გავლენის შეფასების მიზნით საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რომელიც მოიცავდა მონაცემებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასებს ტიპების მიხედვით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობებს მოხმარებული საწვავის მიხედვით.

ქ. ოზურგეთში და დაბა ურეკის ტერიტორიაზე ქუჩების მანიშნებელი ბანერების და აღნიშნულ ქუჩებზე განთავსებულ ობიექტებზე (მ.შ. საცხოვრებელი სახლებზე) აბრების განთავსების (ქუჩების დასახელების და ნუმერაციის მინიშნებით) მიზნით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია საჯარო რეესტრის სამისამართო სამსახურიდან. მიღებული ინფორმაციის გამოყენებით მომზადებულია საჭირო დოკუმენტაცია ქ. ოზურგეთში, „მოიდანახეს“უბანში ქუჩების და განთავსებული ობიექტების (საცხოვრებელი სახლები) დამისამართების საინფორმაციო აბრების განთავსების განსახორციელებლად.

ქ. ოზურგეთში ტრანსპორტის პარკირების და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოქალაქეთა ასამბლეის მიერ შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები:

- პარკინგის მოწყობაზე, განვითარებაზე, გადასახადის ადმინისტრირებაზე და მონიტორინგზე;

- ველობილოკებზე და ველოპარკინგზე;

- ცალმხრივო მოძრაობის შესაძლებლობის განხილვაზე;

- შშმ პირების პარკირების თაობაზე;

- საპარკინგე სისტემის შესახებ საინფორმაციო კომპანიის წარმოებაზე;

- მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებაზე, რომელიც გულისხმობს მოწესრიგებულ და ადაპტირებულ ტრანსპორტს, გრაფიკით მოძრაობას, საზოგადოებრივი გაჩერებების მოწყობას შესაბამისი საინფორმაციო მანიშნებლებით.

მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება შესაბამის ღონისძიებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის და შპს „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ. 2023 წელს დაგეგმილია 8 ერთეული ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი) შესყიდვა, რომელიც განახორციელებს მოსახლეობის მომსახურებას ადგილობრივ მარშრუტებზე.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ მიეწოდა ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზმომარაგების სისტემების მონტაჟის პროცესში გამორჩენილი მოსახლეობის თაობაზე, რომლის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნულ ლოკაციებზე გაზმომარაგების ქსელის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილებების სამოქმედო გეგმის (SECAP) მოსამზადებელი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, განყოფილებამ მიიღო მონაწილეობა ონლაინ შეხვედრებში. მოპოვებული იქნა მონაცემები მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების პარამეტრების, ტრანსპორტის მიერ მოხმარებული საწვავის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მიერ მოხმარებული ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირის და სხვა გამოყენებული საწვავის რაოდენობის თაობაზე.

განყოფილების მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე, „კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის“ მიერ „გამჭვირვალეობის ინტეგრირებული ჩარჩო საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, მომზადდა მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის პროექტი. განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა და დამტკიცება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით საჭირო ინვენტარიზაციის უნარ-ჩვევების განვითარება „კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის“ წარმომადგენლების და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მერის ბრძანების საფუძველზე, მერიის თანამშრომლებთან ერთობლივად განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა.

<u>როგორც მერიის წარმომადგენელი, განყოფილების უფროსი ჩართულია გურიის რეგიონში მიმდინარე პროექტი „ეკო-ჯორჯია“-ს მუშაობაში, რომელიც ითვალისწინებს ტყის სექტორში რეფორმის განხორციელებას.</u> აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა წარმოდგენილი კითხვარების შესაბამისად საჭირო ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა პროექტის წარმომადგენლებთან. ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები <u>ტყის სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით.</u>

სამსახურის უფროსის დავალებით, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში, განისაზღვრა და შეტანილი იქნა მონაცემები, მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების და ხარჯების თაობაზე, პროგრამული კოდების მიხედვით.

მერის კურატორი მოადგილის დავალებით, მოთხოვნის შესაბამისად ვამზადებთ საინფორმაციო მონაცემებს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის თაობაზე. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე მიეწოდება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 სექტემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი-მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის პროცესში მუნიციპალიტეტის მოსაზრებების შესწავლისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ №36_36222649 ბრძანების შესაბამისად, როგორც ჯგუფის წევრი, განყოფილების უფროსი მონაწილეობას ღებულობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხების განხილვაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ №36_36223353 ბრძანების შესაბამისად, როგორც საბჭოს წევრი, განყოფილების უფროსი მონაწილეობას ღებულობს საბჭოს აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ საქმიანობაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 დეკემბრის „მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ №36_362234212 ბრძანების შესაბამისად, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრები, განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში. მიმდინარე ეტაპზე მომზადებულია ნარჩენების მართვის გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც განხილვის პროცესშია.

სამსახურის თანამშრომლების მიერ ხორციელდება მოსახლეობისაგან და სხვადასხვა დაინტერესებული იურიდიული პირების მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე დასმული პრობლემების შესწავლა და მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, ასევე მოქმედი კანონმდებლობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამსახურის დებულებებით და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

განათლების განყოფილების III კვარტლის ანგარიში

1. მუსიკალური სკოლის ღვაწლმოსილი 5 პედაგოგის დაფასება - გადაეცა ფულადი ჯილდო 200 ლარი,მადლობის სიგელი და ვავილების თაიგული- ბიუჯეტი 1250 ლარი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, განათლების განყოფილების ორგანიზებით გახორციელა ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებულ პროექტი, რომლის ჯამური ღირეულება შეადგინა 20 000 (ოციათასი) ლარი.

3. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, განყოფილების ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე ,,თვითშეფასება და მოტივაცია'', სადაც მოწვეული გვყავდა ფსიქოლოგი ზურაბ მხეიძე. ლექციას დაესწრო 300 ადამიანი. ბიუჯეტი 4800 ლარი.

4. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2 შშმ სკოლის მოსწავლეეს გამოიყო ტრანსპორტირების თანხა, თითოეულზე 100 ლარის ოდენობით

5. წვერმაღალას პარკში გაიმართა წარმატებული კურსდამთავრებულებისა და მათი სკოლების დაჯილდოების ცერემონიალი. 3000 ლარით დაჯილდოვდა თექვსმეტი 100%-იანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებული და 3 საჯარო სკოლა,რომელსაც თითოეულ 100%-იან კურსდამთავრებულზე გადაეცა ჯილდო 1500 ლარი. 300 ლარით დაჯილდოვდა 88 ოქროსმედალოსანი.

6. მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა 5 ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომლებსაც ჯილდოს სახით გადაეცა 500 ლარი. სამკერდე ნიშანი, მადლობის ბარათი და ყვავილების თაიგული. ბიუჯეტი -3390 ლარი.

კულტურის განყოფილების 2023 წლის 9 თვის ანგარიში
(იანვარი-სექტემბერი)

N	ღონისძიების დასახელება	აღწერილობა	ბრძანების N ხელშეკრულების N	გახარჯული (ლარი)
1	საახალწლო ღონისძიება და დეკორაციების მოწყობა	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 528; თარიღი: 30/12/2022	**80 400,00**

2	ტრადიციული ღონისძიება "კალანდა" დეკორაციების შეძენა	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 526; თარიღი: 29/12/2022	**175,00**
3	საახალწლო საჩუქრების შეძენა	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 523; თარიღი: 29/12/2022	**600,00**
4	საახალწლო ტკბილეულის შეძენა შეჭირვებული მოსახლეობისთვის გადასაცემად	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 498; თარიღი: 19/12/2022	**1 987,00**
5	,,კალანდა 2023"-ის ღონისძიება	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 26; თარიღი: 13/01/2023ხელშეკრულება #: 25; თარიღი: 13/01/2023	**60 092,00**
6	ნაძვის ხის ანთებასთან დაკავშირებით სტუმრების გამასპინძლება	წარმომადგენლობითი ხარჯი	ბრძანება #: ბ36.36223643; თარიღი: 30/12/2022	**3 720**
7	სარვამარტო ღონისძიება თეატრი (ყვავილები, მოსაწვევები)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 85; თარიღი: 07/03/2023 ხელშეკრულება #: 84; თარიღი: 07/03/2023	**1 892,70**
8	დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებით ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა.	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 98; თარიღი: 20/03/2023	**2 253.7**

9	დაუნის სინდრომის დღის აღნიშვნა	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 98; თარიღი: 20/03/2023ხელშეკრულება #: 102; თარიღი: 20/03/2023ხელშეკრულება #: 99; თარიღი: 20/03/2023ხელშეკრულება #: 100; თარიღი: 20/03/2023	**1 530,00**
10	დაუნის სინდრომის დღე ფურშეტი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 101; თარიღი: 20/03/2023	**1 150,00**
11	სამგლოვიარო თაიგულის შეძენა და მასწავლებლის ჯილდო	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 132; თარიღი: 07/04/2023 ბრძანება_36,3623101_9/11/2023	**600,00**
12	დავით ტაკიძე (შემოქმედელი)-ს საიუბილეო საღამოს აღნიშვნა მასწავლებლის ჯილდო	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 137; თარიღი: 21/04/2023ხელშეკრულება #: 135; თარიღი: 21/04/2023 ხელშეკრულება #: 136; თარიღი: 21/04/2023	**1 884,20**
13	9 მაისი (თაიგულების შეძენა)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 151; თარიღი: 08/05/2023	**250,00**

14	ბოლო ზარი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 152; თარიღი: 10/05/2023	**32 366**
15	ევროპის დღე ოზურგეთში	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 159; თარიღი: 15/05/20ხელშეკრულება #: 156; თარიღი: 15/05/20ხელშეკრულება #: 158; თარიღი: 15/05/20 ხელშეკრულება #: 154; თარიღი: 11/05/20	**1 357,00**
16	თაიგულების შეძენა (26 მაისი)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 171; თარიღი: 25/05/2023	**180,00**
17	26 მაისის (ფოიერვერკი 9850 ლარი) 26 მაისის (განათებების 6985 ლარი)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 170; თარიღი: 25/05/2023 ხელშეკრულება #: 173; თარიღი: 25/05/2023	**16835**
18	ევროპის დღე ოზურგეთში (დიჯეის)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 160; თარიღი: 15/05/2023	**2 000,00**
19	26 მაისი (დროშების)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 155; თარიღი: 11/05/2023	**7 250,00**
20	ევროპის დღე ოზურგეთში (მაისურების)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 157; თარიღი: 15/05/2023	**600,00**

21	ლეო ანთაძის საიუბილეო საღამო	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 184; თარიღი: 02/06/2023	**2 500**
22	შშმპ პირთა საერთაშორისო დღე (ბუშტები ბანერი ყურსასმენი და სასჩუქრე ჩანთა)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 196; თარიღი: 13/06/2023 ხელშეკრულება #: 199; თარიღი: 13/06/2023 ხელშეკრულება #: 198; თარიღი: 13/06/2023	**558**
23	შშმპ პირთათვის გამართულ ღონისძიებაზე ჯილდოების შესყიდვა	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 197; თარიღი: 13/06/2023	**48,00**
24	შშმპ პირთათვის გამართულ ღონისძიებაზე კერძების მომზადების და მიტანის ლანჩი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 195; თარიღი: 13/06/2023	**1 000,00**
25	ალექსანდრე წუწუნავას სახელმწიფო თეატრი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	განაცხადი (წინასწარი გადახდა)	**50 000**
26	ა 4 ფორმატის ჩარჩო 6 ცალი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 220; თარიღი: 22/06/2023	**120,00**
27	ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი ,,ჩვენ მშვიდობა''	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 224; თარიღი: 27/06/2023	**22 510**
28	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები (გია ბაღაშვილის საავტორო საღამო)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 248; თარიღი: 12/07/2023	**5 000,00**
29	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები (შპს შპს გეოპროფი)	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 266; თარიღი: 24/07/2023	**51 330,00**

	სამგლოვიარო თაიგულის შეძენის ხარჯი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 288; თარიღი: 08/08/2023	**320**
	სამგლოვიარო თაიგულის შეძენის ხარჯი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 294; თარიღი: 10/08/2023	**90,00**
	სამგლოვიარო თაიგულის შეძენის ხარჯი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	ხელშეკრულება #: 302; თარიღი: 16/08/2023	**60,00**
30	ერთიანი ანგარიში; სსიპ; სსიპ - ქ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	განაცხადი	**25 000**
	ჯამი			**375658,60**

სპორტის განყოფილების 2023 წლის 9 თვის ანგარიში
(იანვარი-ივლისი)

N	ღონისძიების დასახელება	თარიღი	აღწერილობა	ბრძანების N ხელშეკრულების N	გახარჯული (ლარი)
1	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	20.02.2023	კალათბურთის ბურთების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 64; თარიღი: 16/02/2023	**110**
2	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	20.02.2023	ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის ბურთების და კალათბურთის ბადეების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 60; თარიღი: 13/02/2023	**795**

3	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	20.02.2023	ფეხბურთის კარის ბადის შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 59; თარიღი: 13/02/2023	**650**
4	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	20.02.2023	სპორტული ტანსაცმელის შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 82; თარიღი: 06/03/2023	**1940**
5	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	29.03.2023	სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე გამარჯვებული გუნდისთვის ჯილდოს (თასების)შეძენა გადასაცემად	ხელშეკრულება #: 93; თარიღი: 16/03/2023	**968,6**
6	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	29.03.2023	ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის ბურთების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 106; თარიღი: 24/03/2023	**245**
7	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	29.03.2023	სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე გამარჯვებული გუნდისთვის ჯილდოს (თასების)შეძენა გადასაცემად	ხელშეკრულება #: 106; თარიღი: 24/03/2023	**105**
8	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	07.04.2023	სპორტული ღონისძიების ორგანიზების მოწყობის თანადაფინასების ხარჯი	ხელშეკრულება #: 12; თარიღი: 09/03/2023	**3200**
9	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	31.05.2023	სპორტული ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი) სპორტული ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი)	ხელშეკრულება #: 169; თარიღი: 25/05/2023	**275**

10	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	26.06.2023	ფეხბურთის ბურთებისა და კარის ბადეების, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთების შეძენიოს ხარჯი	ხელშეკრულება #: 169; თარიღი: 25/05/2023	**930**
11	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	03.07.2023	ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის ბურთების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 204; თარიღი: 16/06/2023	**470**
0	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	17.07.2023	ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის ბურთების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 246; თარიღი: 11/07/2023	**280**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	04.08.2023	სპორტული ღონისძიების ორგანიზების მოწყობის თანადაფინასების ხარჯი	ხელშეკრულება #: 12; თარიღი: 09/03/2023	**3000**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	22.08.2023	წარმატებული სპორტსმენების ათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასაცემად	ბრძანება_ბრ.36.36232293_17/08/2023_;	**1500**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	22.08.2023	წარმატებული სპორტსმენების ათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასაცემად	ბრძანება_ბრ.36.36232293_17/08/2023_;	**1500**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	22.08.2023	წარმატებული სპორტსმენების ათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასაცემად	ბრძანება_ბრ.36.36232293_17/08/2023_;	**3500**

	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	22.08.2023	წარმატებული სპორტსმენების ათვის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადასაცემად	ბრძანება_ბრ.36.36232293_17/08/2023_;	**1750**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	29.08.2023	ფეხბურთის და ფრენბურთის კარის ბადეების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 300; თარიღი: 16/08/2023	**300**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	11.09.2023	ბეჭდვითი მომსახურების ხარჯი	ხელშეკრულება #: 323; თარიღი: 01/09/2023	**687**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	13.09.2023	ჩოგბურთის ბადის ,ბურთებისა და ამრეკლავი ლენტის შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 325; თარიღი: 01/09/2023	**80**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	13.09.2023	მცირეფასიანი ჩოგბურთის ჩოგანის შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 325; თარიღი: 01/09/2023	**30**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	13.09.2023	ფეხბურთის და ფრენბურთის ბურთების და კარის ბადების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 324; თარიღი: 01/09/2023	**400**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	13.09.2023	ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთების შეძენის ხარჯი	ხელშეკრულება #: 327; თარიღი: 04/09/2023	**150**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	13.09.2023	სპორტ.ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდებისათვის ჯილდოს შეძენა გადასაცემად	ხელშეკრულება #: 327 თარიღი: 04/09/2023	**311**
	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	28.09.2023	სპორტულ ჩემპიონატში მონაწილე გამარჯვებული გუნდისთვის ჯილდოების შეძენა გადასაცემად	ხელშეკრულება #: 356; თარიღი: 20/09/2023	**120**

				სულ ჯამი :	**23296,6**

ახალგაზრდობის განყოფილების **2023** წელი					
N	ღონისძიების დასახელება	თარიღი	აღწერილობა	ბრძანების N ხელშეკრულების N	გახარჯული (ლარი)
1	თვითმმართველობა განათლებისათვის-ახალგაზრდული პროექტები	15.08.2023	,,შემოქმედებითი ოზურგეთის" პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის სახელწოდებით ,, ქუჩის ხელოვ ფესტ-ნიკო-ოზურგეთი 2022" დაფინანსება	ხელშეკრულება #: 24; თარიღი: 01/08/2023	**49 585,30**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების 2023 წლის 9 თვის მონაცემები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მიერ 2023 წლის 9 თვის მონაცემები პროგრამების მიხედვით

მუხლი 2. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 02);

პროგრამა ითვალისწინებს:

მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას;რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 0-დან 150001-მდე; ასევე სამედიცინო დახმარებას; ასევე სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებაში დახმარებას.

პროგრამიდან მიმდინარე წელს-სამედიცინო მომსახურებისთვის (ოპერაცია,მკურნალობა) დახმარება გაეწია **-1472** მოქალაქეს.

აქედან მედიკამენტოზური მკურნალობის დასაფინასებლად -**972** მოქალაქეს, ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩაირიცხა **97200** ლარი;

ხოლო, **500** მოქალაქეზე გაიცა და დაფინანსდა **143291** ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 240491 ლარი.

მუხლი 3. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 03);

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ეძლევათ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით ქალაქად მცხოვრები ფენეფიციართათვის 300 ლარის ოდენობით, ხოლო, სოფლად მცხოვრები ბენეფიციართათვის 350 ლარი.

განყოფილებას დაეწერა და განხილულია 44 მოქალაქისთვის ყოველკვარტალური დახმარებების განცხადება.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 41600 ლარი;

მუხლი 4 ონკოლოგიური დაავადებული პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 04);

პროგრამა ითვალისწინებს: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას;

განყოფილებას დაეწერა და განხილულია 547 განცხადება. აქედან 115 მოქალაქე გაეწია დახმარება ფარმაცევტულ აფთიაქში ჩარიცხვით -28750, ძვირადღირებულ მედიკამენტებზე დახმარება გაეწია - 7 მოქალაქეს-18500 ლარი, ხოლო, 425 განცხადება სამედიცინო დაწესებულებებში - 100784 ლარი

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 148034 ლარი

მუხლი 5. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 05);

გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მოსახურების დროს, სამედიცინო დაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში;

განხილულია 528 განცხადება.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 129634 ლარი;

მუხლი 6. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია,კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია და სხვა) დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანთა, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირთა და შშმ ბავშვთა, თანადაფინანსება საჭიროების შემთხვევაში ;
განხილულია 230 განცხადება.
2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 38796 ლარი;

მუხლი 8. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01);
პროგრამა ითვალისწინებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტირებულ ი მ მრავალშვილიან ოჯახთა ყოველთვიურ დახმარებას, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 120 001-დან 150 001-მდე; განხილულია 9 ოჯახისთვის, განკუთვნილი დახმარება.
2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 7125 ლარი;

მუხლი 9. დღის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02);
პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 30350 ლარი

მუხლი 10. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშთა დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 03)
პროგრამა ითვალისწინებს:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარებას. დახმარება გულისხმობს ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4-ჯერ (კვარტალში ერთხ) მატერიალურ დახმარებას, სულ 6 ბავშვი.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 8000 ლარი;

მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04);
განხილულია 382 განცხადება. აქედან შშმ მხედველობით ; შშმ პირთა - შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებების შესაძენად და შესაბამისი სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის ასოციაცია „გურია“-ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ტრანსპორტის ხარჯი 45 ბენეფიციარზე 20160; „ოდა ქეარ“-18375 და „ლაზიკა მედი“57750

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 141364 ლარი;

მუხლი 12. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05);

პროგრამა ითვალისწინებს:
„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ზამთრის სეზონთან

დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახების დახმარებას, განხილულია 46 განცხადება.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 9400 ლარი;

მუხლი 13. სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06);

განხილულია 83 განცხადება.
2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 22500 ლარი;

მუხლი 14. ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 07);

პროგრამა ითვალისწინებს:

საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი, 2004 წლის 16 აგვისტო, საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას გარდაცვალების დღე) აღნიშვნას, ბენეფიციარების ფულად დახმარებას. 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი ფულადი დახმარებას.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 8100 ლარი;

მუხლი 15. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა: (პროგრამული კოდი 06 02 08);

დახმარება გაეწია 43 ოჯახს, აქედან 10 ოჯახმა ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო ხანძრის შედეგად დამწვარი და მძიმე საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციისთვის. 33 ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მასალის შესაძენად გაეწია ფინანსური დახმარება, ასევე 35 უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს ერიცხებათ ყოველთვიურად საცხოვრებელი ბინის ქირა.- 105.27 ლარი, განხილულია 57 განცხადება.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 250515 ლარი;

მუხლი 16. მზრუნველობამოკლებულთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 09);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეჭირვებული მოსახლეობის, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 120 001-მდეა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) დახმარების მიზნით, ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას. კვების პროგრამაში ჩასმულია 180 მოქალაქე;

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 128206 ლარი;

მუხლი 17. სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 10);

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთში, მეცნიერების ქ. №16-ში მდებარე ხანდაზმულთა სახლში მყოფი ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირებას, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური (ბუნებრივი აირი,

ელექტროენერგია) გადასახადების დაფინანსებით უზრუნველყოფის სახით და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასი“თანადაფინანსება

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 25674 ლარი.

მუხლი 18. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11);

პროგრამა ითვალისწინებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახთა დახმარებას, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70001-მდეა, ბავშვის დაბადების შემთხვევაში;
განხილულია 22 ოჯახის დახმარებისთვის ყოველთვიური განცხადება.

2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 17450 ლარი;

მუხლი 19. გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 12);

პროგრამა ითვალისწინებს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება.
დახმარება გაეწია ძალადობის მსხვერპლ 8 ქალბატონს და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუხლიდან 60 ოჯახს.
2023 წლის 9 თვის მდგომარეობით, გაიხარჯა 52000 ლარი;

ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში

საინვესტიციო განყოფილება

2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 10 აპრილის ჩათვლით, განყოფილების მიერ განხორციელებულ იქნა გასვლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მოეწყო შეხვედრა-პრეზენტაციები თვითმმართველობის და სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების ფართო მასებისთვის გაცნობის მიზნით.

განხორციელდა დეტალური ინფორმაციის მიწოდება, გამოცხადებული / გამოსაცხადებელი პროექტების შესახებ, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მათი ჩართულობის გაზრდას მუნიციპალურ და სახელწიფო პროექტებში,რითაც გაძლიერდა მოქალაქეთა თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან. კონსულტაცია ჩაუტარდა **520** მოქალაქეს. (მოქალაქეთა სია-ხელმოწერებით ინახება ჩვენს განყოფილებაში)

საანგარიშო პერიოდში **680** (ექვსასოთხმოცი) ფიზიკურ და იურიდიულ პირს გაეწია

კონსულტაცია შემდეგი მიმართულებით:

ა) დანერგე მომავალი ;
ბ) შეღავათიანი აგროკრედიტი ;
გ) აწარმოე საქართველოში.
დ) დევნილთა ეკომიგრანტთა დახმარების პროგრამა;
მუნიციპალიტეტის მიერ გამოსაცხადებელი საგრანტო პროექტები:
ა) ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა;
ბ) სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამა.

განყოფილება ყოველწლიურად აახლებს მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული აქტივების აღწერას.

საინვესტიციო განყოფილებამ დაამუშავა ინფორმაცია **,,საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი"-ს** სპეციალური კითხვარის შესავსებად, რომელსაც ყოველწლიურად ვაახლებთ.

განყოფილება ჩართულია პროექტში, რომელიც მოიცავს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას და ე.წ. **Benchlearning** მეთლოდოგიის გამოყენებას. პროექტს ახორციელებს **USAD-ის** ადგილობრივი თვითთმართველობის პროგრამა, პარტნიორი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის მიზნით, ნიდერლანდების მუნიციპალიტეტების ასოციაციასთან **(VNG)** ერთად.

ასევე კონსულტაციები გავუწიეთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მიგრანტებს, დევნილებს და ეკომიგრანტებს, პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა -იარაღების შესყიდვას:
დევნილების და ეკომიგრანტების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პროექტის მაქსიმალური თანხა 1 ბენეფიციარზე შეადგენდა **2000** ლარს. სულ დავარეგისტრირეთ **15** ბიზნეს-განაცხადი, აქედან დაფინანსდა **5** ბენეფიციარი.
საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პროექტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა **4000** ლარს. სულ დავარეგისტრირეთ **16** ბიზნეს-განაცხადი, აქედან დაფინანსდა **8** ბენეფიციარი.

საინვესტიციო განყოფილებამ ორგანიზება გაუწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი განვითარების ჯგუფის **(LAG)** აღმასრულებელი საბჭოს არჩევნების ჩატარებას.
საინვესტიციო პროექტების განყოფილების ორგანიზებით გამოცხადდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის **6** ივლისის **N.25** დადგენილებით განსაზღვრული, **,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის"** საგრანტო კონკურსი. ,რომელიც დღეის მდგომარეობით მიმდინარეა.

საინვესტიციო პროექტების განყოფილება ორგანიზებას უწევს და მონაწილეობს **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის“** შექმნაშია,ასევე განყოფილება სრულადაა ჩართული მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში.
მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საწარმოების, მომსახურე ობიექტების, სასტუმროების, ჩაისა და მოცვის საწარმოების სრული აღწერა სპეციალური ფორმების საშუალებით საინვესტიციო განყოფილების თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ვესწრებით სხდასხვა ტრენინგებს.

ქონების მართვის განყოფილება

სულ ქონების განყოფილებაში, საანგარიშო პერიოდში, შემოვიდა 1537 წერილი, განცხადება და კორესპოდენცია.

აქედან; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 149 წერილი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 204 წერილი, გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 54 წერილი. მოქალაქეებიდან, სხვა ორგანიზაციებიდან და უწყებებიდან კი 436 წერილი. ასევე შიდა მოძრაობით შემოვიდა 999 წერილი.

პასუხი გაეცა და შიდა და გარე სტრუქტურებში გადაიგზავნა 1388 წერილზე პასუხი.

დანარჩენ პასუხგაუცემელ წერილებზე, განყოფილებაში მიმდინარეობს მუშაობა.

მოიჯარეების მიერ იჯარის გადაუხდელი საფასურისა და საურავის გამო, სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოებები. შედეგად; მერის ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე 25 საიჯარო ხელშეკრულებაზე შეწყდა მოიჯარეთა სარგებლობის უფლება, ასევე 36 საიჯარო ხელშეკრულებაზე დადგინდა დავალიანება. რაზედაც წერილობით ეცნობა დავალიანებების მქონე მოიჯარეებს.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 2 სასყიდლიანი იჯარის ხელშეკრულება საიჯარო ქირა ჯამურად შეადგენს 5599.7 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონებების პრივატიზებით, შემოსულმა თანხამ შეადგინა - 85159.59 ლარი.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საიჯარო ქირის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა - 48438.45 ლარი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზაციის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა - 452637.00 ლარი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა - 17193.72 ლარი.